UDC 72
SCOPUS CODE 1201
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-4-9-16

ბოლო ათწლეულებში მიკვლეული რაჭის ფრაგმენტირებული კანკელები

მაია დავითაია — არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: m.davitaia@gtu.ge

აკაკი რეხვიაშვილი — არქიტექტურის საფუძვლების, თეორიისა და სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68ა
E-mail: Akaki.rekhviashvili12@gmail.com

რეცენზენტები:

ნ. იმნაძე, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: n.imnadze@gtu.ge

მ. ძიძიგური, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: m.dzidziguri@gtu.ge

ანოტაცია. რაჭის სოფლებში (ჩორდი, ღუნდა, სხიერი, ბოყვა, ზემო ბარი, სევა, სამთისი, ქედისუბანი) უკანასკნელ ათწლეულებში გამოვლენილი ქვის და თაბაშირის ფრაგმენტირებული კანკელები X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება, რომლებიც სახელოვნებათმცოდნეო წრეებისთვის ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობი ნიმუშებია. აღნიშნულ არტეფაქტებს პარალელები ეძებნება თანადროული ქართული ხელოვნების ქვაზე კვეთის ნიმუშებს (ფოთოლეთის, ხაშურის, მცხეთის, წებელდის, ჯრუჭის, სავანის, სპეთის და სხვა კანკელები) შორის, რომლებთანაც, არაერთ შემთხვევაში, მხატვრულ-სტილისტური მსგავსების მიხედვით ცალკე ჯგუფს ქმნიან ან ერთ სახელოსნოში ერთიანდებიან. დასახელებული ნიმუშების კვლევამ გამოავლინა რაჭის კანკელების ფართო სპექტრი. ხოლო ანალიზმა წინ წამოსწია მათი შესწავლის მნიშვნელობა აღნიშნული რეგიონის X-XI საუკუნეების ქვაზე კვეთის ხელოვნების ერთიან კონტექსტში განხილვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: კანკელი; ორნამენტი; ფრაგმენტირებული; ქვაზე კვეთა; ხელოვნება.

შესავალი

შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ქვაზე კვეთის ნიმუშებს შორის დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია X-XI საუკუნეების რაჭის, ორ ათეულამდე ფრაგმენტირებული კანკელის ფაქტობრივ სამეცნიერო ლიტერატურასა და საარქივო მასალებზე დაფუძნებული მონაცემები. აღნიშნულთაგან წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ბოლო ათწლეულებში შემთხვევით ან ტაძრების რეაბილიტაციის პროცესში გამოვლენილ ქვის და თაბაშირის კანკელების ფრაგმენტებს, რომლებიც სახელოვნებათმცოდნეო წრეებისთვის ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობი ნიმუშებია.

ძირითადი ნაწილი

სტატიაში წარმოდგენილ ქვაზე კვეთის ხელოვნების ნიმუშებს შორის, შედარებით ადრეულ საფეხურზე დგას 2018 წელს სოფელ ჩორდში მიკვლეული[1] კირქვაში გამოკვეთილი კანკელის ფილის ფრაგმენტები (სურ. 1). ისინი, სავარაუდოდ, მიეკუთვნებოდა ამავე სოფელში, ,,ციხკისერის" ტერიტორიაზე მდებარე ძველ ეკლესიას, სადაც ამჟამად ფიქსირდება ტაძრის გარკვეული ნაშთები, რომელთა შორის აღსანიშნავია მოშინდისფრო-ღვინისფერ ქვაში გამოკვეთილი კარნიზის ფრაგმენტები, სადაც გვხვდება, X საუკუნით დათარიღებული უწერის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კარნიზის ლილვების და ნახევარსფერული ბურთულების მსგავსი რელიეფური შემკულობა. ჩორდის კანკელის ფრაგმენტებზე გამოსახული ჩუქურთმის პარალელები, X საუკუნის რაჭის და ქართლის ძეგლებზე, კერძოდ კი, პიპილეთის, ირის, ფოთოლეთის, ხაშურის და მცხეთის კანკელებზე გვხვდება. დასახელებული ჯგუფის კანკელებისთვის, ზოგადად დამახასიათებელია სვეტებს შორის მოქცეული მართკუთხა ფილები, სადაც სალტეებიანი ლილვით შემოსაზღვრული ფილების ზედაპირზე გამოკვეთილი ფართო ორნამენტული არშია, ზოგ შემთხვევაში შემოფარგლავს და ამასთანავე, ერთმანეთისგან მიჯნავს რამდენიმე მართკუთხა, მოჩუქურთმებულ მონაკვეთს, ზოგან კი, გარშემოუყვება აყვავებული ჯვრით შედგენილ კომპოზიციას. ჩორდის ნიმუშზე ფრაგმენტულად შემორჩენილი ორნამენტაციის (სალტეებიანი ლილვი, მცენარეული ორნამენტებით შედგენილი არშია, სიღრმეში ჩაკვეთილი თუ რელიეფურად დამუშავებული ჭადრაკული უჯრედებით ან რომბისებრი სახეებით ფორმირებული მონაკვეთები) ანალოგიური მოტივები სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება ზემოთხსენებული კანკელების ფილებსა და სვეტებზე.

სურ. 1. ჩორდი, ქვის კანკელის ფილის ფრაგმენტები

[1] კანკელის ფრაგმენტებს შემთხვევით მივაკვლიეთ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა სოფელ ჩორდის მიდამოებში, მთავარანგელოზის სახელობის ახლად აგებული ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.

XI საუკუნის დასაწყისს შეიძლება მივაკუთვნოთ ხაზობრივ-დეკორატიულ სტილში გაფორმებული ბოყვის თაბაშირის კანკელი (სურ. 2), რომლისგანაც შემორჩენილია ოთხი სვეტის და ორი კუბური ფორმის ფრაგმენტი[2].

ბოყვის თაბაშირის კანკელის კუბური ფრაგმენტების წინა პირზე გამოკვეთილია მრავალღარიანი ლენტით შედგენილი მჭიდრო, კალათისებრი წნული. ლენტის გადაკვეთის ადგილები აქცენტირებულია ჩაბურღული წრეებით. მსგავსი ორნამენტული სახე, გარკვეული ვარიაციებით, არაერთგზის გვხვდება X და XI საუკუნეების რაჭის ქვის და თაბაშირის კანკელებზე.

ბოყვის სვეტები განივკვეთში ოვალური მოყვანილობისაა და მასიური, ჯმუხი პროპორციებით გამოირჩევა. სვეტების ცენტრალურ მონაკვეთს აყვავებული ჯვრის კომპოზიცია ამკობს, სადაც ჯვრის მკლავები აქცენტირებულია გვერდებზე ჩაჭრილი კონტურის ხაზით. ჯვრის ზედაპირზე, გარკვეული ინტერვალით ჩაბურღულია წერტილები, რომელთაც S-ებრი მოყვანილობის ან კლაკნილი ხაზები შემოწერს. ჯვრის მკლავებს გარშემოუყვება გრაფიკულად მონიშნული კონცენტრული რკალები, რომლებიც მკლავებს შორის შოქცეულ მონაკვეთებს ავსებს და ზოგ შემთხვევაში, სტილიზებული ფოთლოვანი მოტივის სახით ერთიანდება. სვეტების თაÐვსა და ბოლოში გამოკვეთილია თითო ქედიანი სალტე. ისინი მოქცეულია ჩაბურღული წერტილებით და S-ებრი მოტივებით გაფორმებულ ქამრებს შორის.

დასახელებული, S-ებრი მოტივი, ბოყვის კანკელს აახლოებს X საუკუნის ქვაზე კვეთის ნიმუშებთან. მაგალითად, ამგვარი გრაფიკული ორნამენტი გამოყვანილია, აღნიშნული პერიოდის კაბერის კანკელის ფილაზე და სხვა.

სურ. 2. ბოყვა, თაბაშირის კანკელის სვეტი (დეტალი)

ბოყვის სვეტების აყვავებული ჯვრის კომპოზიციას მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით ენათესავება სხიერის თაბაშირის კანკელის (სურ. 3) კუბური ფრაგმენტის ორნამენტული შემკულობა[3].

[2] კანკელის ფრაგმენტები განთავსებული იყო სოფელ ბოყვის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ინტერიერში, რომელიც 1991 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად სრულად დაინგრა. მოგვიანებით კი, აღნიშნული ფრაგმენტები ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იქნა გადატანილი.

[3] თაბაშირის კანკელის ფრაგმენტები განთავსებულია სოფელ სხიერში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახელდახელოდ დახურულ სივრცეში.

სურ. 3. სხიერი, თაბაშირის კანკელის ფრაგმენტი

ამავე კანკელის ფილის სხვა ფრაგმენტზე შემორჩენილია, შედარებით გართულებული სახის, ღარებიანი ლენტის წნულით შედგენილი აყვავებული ჯვრის დეტალი, რომელსაც ასეთივე ლენტოვანი წნულით შემოსალტული ლილვებით და ბურთულებით გაფორმებული მაღალრელიეფური თაღოვანი ჩარჩო საზღვრავს. აღნიშნული კანკელის სხვა ფრაგმენტებზეც გვხვდება დაღარული ლენტი, რომელიც მცენარეულ მოტივთან ერთად მჭიდრო ორნამენტულ კომპოზიციას ქმნის. აქ გამოსახული სტილიზებული ფოთლის ზედაპირზე გამოკვეთილია რელიეფური ძარღვები და ჩაბურღული წრეები, მის კიდეებს კი დანაოჭებული არშია დაუყვება, რითაც სტილისტურად ემსგავსება ქედისუბნის, ლეკნარის, სპეთის და სავანის XI საუკუნის კანკელების ჩუქურთმებს.

სხიერის კანკელის მსგავსად, ლენტის წნულით შედგენილი აყვავებული ჯვრის კომპოზიცია გამოკვეთილია ღუნდის კანკელის ფილებზე (სურ. 4)[4]. ამათგან, ერთი ფილის კომპოზიციას ორღარიანი ლენტით და მცენარეული მოტივით შედგენილი ფართო არშია საზღვრავს. მეორე ფილაზე მჭიდროდ ნაქსოვი ლენტის კალათისებრი წნული შემოუყვება. ხოლო შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, სავარაუდოდ, ორივე ფილის გვერდითი კიდეები გაფორმებული იქნებოდა ლენტოვანი წნულის სალტეებით შეკრული შეწყვილებული ლილვებით და ბურთულებით.

სურ. 4. ღუნდა, თაბაშირის კანკელის ფილის ფრაგმენტი

ზემო ბარის ,,ჭბოს“ მთავარანგელოზის ეკლესიის XI საუკუნის თაბაშირის კანკელისგან შემორჩენილია მრგვალი სვეტების, ფილების და თაღნარის ფესტონის ფრაგმენტები[5]. ბოყვის კანკელის სვეტებისგან განსხვავებით, ზემო ბარის ნიმუში დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა და თავისი ფორმა-მოყვანილობით პატარა ონის, ქედისუბნის, ლეკნარის, სავანის და სპეთის სვეტებს ენათესავება. ხოლო, მხატვრულ-დეკორატიული გადაწყვეტით,

[4] სოფელ ღუნდის სამების სახელობის ეკლესიის თაბაშირის კანკელის ზოგი ფრაგმენტი გასული საუკუნის 60-იან წლებში იქნა ონის მუზეუმში გადატანილი. ხოლო, კანკელის ფრაგმენტების უმეტესობა 2016 წელს, აღნიშნულ ეკლესიაზე წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს გამოვლინდა. ზოგ ფრაგმენტს კი, საარქივო ფოტოებიდან ვიცნობთ, რომელთა ადგილსამყოფელი ამჟამად გაურკვეველია.

[5] ზემო ბარის მთავარანგელოზის ეკლესიის კანკელის ფრაგმენტების უმრავლესობა გამოვლენილია 2009 წელს, ამ ტაძარზე განხორციელებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს.

მჭიდრო კალათისებრი წნულით გაფორმებული ბოყვისა და ღუნდის კანკელების ორნამენტულ შემკულობას იმეორებს. სხიერის და ღუნდის კანკელების მსგავსად, აქაც ფილების შემომსაზღვრელი შეწყვილებული ლილვები გვხვდება. თუმცა მათთან შედარებით, ზემო ბარის ფილის ლილვებიანბურთულებიანი სეგმენტები გართულებულია წნული ქამრებით შეკრული სტილიზებული ფოთლის კონებით (სურ. 5). ამდაგვარი აგებულების, მაგრამ განსხვავებული სტილისტური გადაწყვეტის ლილვებით, ბურთულებით და ქამრებიანი მცენარეული მოტივებით შედგენილი კონები გვხვდება XI საუკუნის ძეგლების – ნიკორწმინდის, მანგლისის, სავანის და სხვა ტაძრების კარიბჭეების მხატვრულ გაფორმებაში. სადაც, ზემო ბარის ირიბად ჩაკვეთილი სიბრტყეებით ფორმირებული ფოთლების ხისტი, სადა ნახატისგან განსხვავებით, ტაძრების ფოთლოვანი ჩუქურთმის ზედაპირი ხვეული, დენადი ფორმებით ხასიათდება.

სურ. 5. ზემო ბარი, თაბაშირის კანკელის ფრაგმენტი

გარდა ამისა, XI საუკუნის ტაძრების გაფორმებაში ჩართულ, ქვაზე და ხეზე კვეთის ნიმუშებში გარკვეული ვარიაციებით შესრულებული პარალელები ეძებნება ბოყვის, სხიერის, ღუნდის და ზემო ბარის კანკელების აყვავებული ჯვრის კომპოზიციებს. ამათგან, ბარის და ზემო ბარის ქვის ნიმუშებზე აყვავებული ჯვარი ნახევარწრიულ არეზეა გამოსახული, რომელიც ფლანკირებულია წარწერებით, ფოთლოვანი მოტივებით ან გლუვად დატოვებული არეებით და შემოსაზღვრულია ლენტოვანი წნულით. მარავალძალის მართკუთხა ფილა ერთმანეთთან განივი მკლავებით გადაბმული ხუთი ჯვრის ფრიზულ კომპოზიციას წარმოგვიდგენს. ხოლო, ლაშეს ეკლესიის ხის კარის აყვავებული ჯვრის კომპოზიცია მართკუთხა არეზეა გამოკვეთილი და ჯვრის გარშემო არსებული მონაკვეთები დამატებით გამშვენებულია დეკორატიული ელემენტებით. ამ კომპოზიციებისთვის ზოგადად დამახასიათებელია ღრმა და ფართო ღარით აქცენტირებული ჯვრის კონტური, ორღარიანი ლენტის წნულით შედგენილი მკლავები, რომლებიც ბოლოებში ორმხრივ იტოტება და დაღარულზედაპირიანი ფოთლებით მკლავებსშორის არსებულ მონაკვეთებს ავსებს. სტილიზებული ფოთლების ზედაპირზე, ლენტებთან შედარებით, უფრო მეტი, ძარღვების აღმნიშვნელი ღარებია გავლებული, რომლებიც ბოლოებში ფართოვდება ან ფოთლის კიდეებს ჩაკვეთილი წრეების რიგი დაუყვება.

სურ. 6. სამთისი, თაბაშირის კანკელის ფრაგმენტი

სოფელ სამთისის დედაღვთისას სახელობის ეკლესიის თაბაშირის კანკელის თაღნარის ფრაგმენტის[6] წინა პირი გაფორმებულია ორღარიანი ლენტით და ფოთლოვანი მოტივებით, რომელთაც შემოუყვება მძივების მწკრივი (სურ. 6). ეს ფრაგმენტი საერთო აგებულებით და მხატვრული გადაწყვეტით ახლოს დგას XI საუკუნის სავანის და სპეთის მსგავს ნიმუშებთან.

სურ. 7. სევა, თაბაშირის კანკელის ფილის ფრაგმენტი

სოფელ სევის სამების ეკლესიის თაბაშირის კანკელის ფილის ფრაგმენტზე[7] გამოკვეთილია ორღარიანი ლენტის კლაკნილი დინებით შექმნილი სამკუთხა მონაკვეთები, სადაც მოქცეულია ფოთლოვანი მოტივები (სურ. 7). აქ გამოსახული რელიეფური შემკულობა დიდ მსგავსებას იჩენს XI საუკუნის წებელდის ქვის და ჯრუჭის თაბაშირის კანკელების მოჩარჩოების არშიის ჩუქურთმასთან.

XI საუკუნის რაჭის განსახილველ ნიმუშებს შორის, შემორჩენილი ფრაგმენტების სიმრავლით ქედისუბნის მთავარანგელოზის ეკლესიის თაბაშირის კანკელი გამოირჩევა (სურ. 8). მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია ტაძრის სამხრეთის კარის თავზე ჩასმული მართკუთხა ფილა. გარდა ამისა, ეკლესიის სამხრეთისა და დასავლეთის ფასადებზე ჩაშენებულია აღნიშნული კანკელის არაერთი, სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის ფრაგმენტი. ხოლო, 2019 წელს ეკლესიის ტრაპეზის ქვის დაშლის შედეგად გამოვლენილი რამდენიმე ფრაგმენტი ამჟამად დაცულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სურ. 8. ქედისუბანი, თაბაშირის კანკელის ფრაგმენტი

ქედისუბნის კანკელი საერთო აგებულებით, ორნამენტული მოტივების, კომპოზიციური განაწილების და კვეთის ხასიათის მსგავსების მიხედვით ცალკე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ პატარა ონის და ლეკნარის კანკელებთან, რომლებიც ზემო იმერეთის, კერძოდ, სავანისა და სპეთის მსგავს ნიმუშებთან ერთად შესაძლებელია ერთი სახელოსნოს ოსტატების ნამუშევრებად მივიჩნიოთ.

ამ ჯგუფის კანკელებისთვის, ზოგადად დამახასიათებელია მართკუთხა ფილებზე აღმართული, კუბურ ბაზისებზე შედგმული მრგვალი სვეტები, რომლებსაც ეყრდნობა ფესტონებიანი თაღნარი და კარნიზი. მათ მხატვრულ გაფორმებაში გამოყენებულია ღარიანი ლენტი და მცენარეული ორნამენ-

[6] კანკელის ფრაგმენტი მიკვლეული იქნა 1990-იან წლებში სამთისის ეკლესიის ნანგრევებზე. იგი, ამჟამად დაცულია ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[7] სევის თაბაშირის კანკელის ფრაგმენტი დაფიქსირდა 1995 წელს, სამების ტაძარზე ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების დროს. მოგვიანებით ფრაგმენტი გადატანილ იქნა ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ტი, სადაც ვიწრო და მუქი კონტურის ხაზით აქცენტირებული რელიეფური ჩუქურთმა ხალიჩისებრ ავსებს კომპოზიციისთვის განკუთვნილ ზედაპირს.

ქედისუბნის კანკელში, პატარა ონის და სპეთის მსგავსად, ფილების ცენტრალურ ნაწილში გლუვი, მართკუთხა მონაკვეთებია წარმოდგენილი, რომლებსაც ფართო ორნამენტული არშია შემოუყვება.

ქედისუბნის, ზემო ბარის, სავანისა და სპეთის კანკელები შემკულია S-ებრი მოტივებით. მათი დაღარული ზედაპირი, თანადროული არქიტექტურული ძეგლების მსგავსი ჩუქურთმისგან განსხვავებით, დამატებითი ღარების საშუალებით უფრო მეტადაა დეტალიზებული.

ქედისუბნის კანკელის სვეტები, ფორმა-მოყვანილობის თვალსაზრისით, იმ ჯუფის ნიმუშების სვეტებს ენათესავება, რომელთათვისაც დამახასიათებელია თავსა და ბოლოში, ცილინდრულ მონაკვეთებს შორის მოქცეული სფეროსებრი ან ბალიშისებრი ფორმები და ცენტრალური ნაწილი, რომელიც გლუვზედაპირიანია ანდა შემკულია ჩუქურთმით.

ასევე, ქედისუბნის, სავანისა და სპეთის კანკელების ორნამენტული კომპოზიციების საერთო დეკორატიული ელემენტია მკვეთრად მოხვეული, ზიგზაგისებრ განვითარებული ღარიანი ლენტი, რომელიც მასთანვე ლენტით გადახლართული ფოთლოვანი მოტივით შევსებულ სამკუთხედ არეებს შემოწერს.

ქედისუბნის და სავანის კანკელებში, სხვა ხსენებული კანკელებისგან განსხვავებით, თაღნარის კონტურის და კარნიზის პარალელურად მიუყვება მძივების მწკრივით მოჩარჩოებული ფოთლოვანი მოტივებით შედგენილი ფართო ორნამენტული არშია, რომლებიც რამდენიმე ადგილას ინასკვება.

XI საუკუნის თაბაშირის კანკელებზე დაკვირვება, მათი კონსტრუქციული გადაწყვეტის ორგვარ მიდგომას გვიჩვენებს. ერთი მხრივ განირჩევა ფილების, სვეტების, თაღნარის და კარნიზის მასიური, ჩამოსხმული მოცულობები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში სიმყარისთვის ჩატანებული აქვთ ხის თხელი ნაჭრები. მეორე მხრივ გვხვდება დიდი ზომის ქვებით შედგენილი დაბალი კედლების ბარიერი, სადაც გადაკრულია თაბაშირის თხელი ფენა (სპეთის კანკელი). ხოლო, ორივე შემთხვევაში ძირითადი ფორმები და ორნამენტი გამოყვანილია ჭრის ტექნიკით.

დასკვნა

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ზემოთ განხილული ფრაგმენტირებული ნიმუშების კვლევამ გაამდიდრა რაჭის კანკელების სპექტრი. ხოლო ანალიზმა წინ წამოსწია მათი შესწავლის მნიშვნელობა ამ რეგიონის X-XI საუკუნეების ქვაზე კვეთის ხელოვნების ერთიან კონტექსტში განხილვის პროცესში.

ლიტერატურა

1. Beridze, V. (1942). Savane (The Monument of Georgian Architecture of the 11th Century). *Ars Georgica, 1.* Tbilisi: Georgia SSR Academy of Sciences. (In Georgian);
2. Bochoridze, G. (1994). Historical Monuments and Antiquities of Racha and Lechkhumi, Tbilisi: Science. (In Georgian);
3. Dvali, M. (1968). Church of St George from Leknari. *Matsne, 4,* Tbilisi: Georgia SSR Academy of Sciences. (In Georgian);

4. Rekhviashvili, A. (2015). Classification of the 10th Century Stone Carving from Racha. *Georgian Antiquities, 18,* Tbilisi: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation. (In Georgian);
5. Shmerling, R. (1962). Minor Forms in the Architecture of Medieval Georgia, Tbilisi: Georgia SSR Academy of Sciences. (In Russian).

UDC 72
SCOPUS CODE 1201
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-4-9-16

Fragments of the Templons Discovered in Racha in the Recent Decade

Maia Davitaia Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68a, M. Kostava str.
E-mail: m.davitaia@gtu.ge

Akaki Rekhviashvili Department of Architecture Theory Fundamentals and Fine Arts, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68a, M. Kostava str.
E-mail: Akaki.rekhviashvili12@gmail.com

Reviewers:

N. Imnadze, Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU
E-mail: n.imnadze@gtu.ge

M. Dzidziguri, Professor, Faculty of Architecture, Urbanism and Design, GTU
E-mail: m.dzidziguri@gtu.ge

Abstract. Stone and plaster templons from various villages of Racha, such as Chordi, Ghunda, Skhieri, Bokwa, Zemo Bari, Seva, Samtisi, and Kedisubani have been discovered in recent decades. They date back to the 10th and 11th centuries and are less known or completely unknown to the academic circles of art historians. These artifacts have analogies among stone carvings of the same period (templons from Potoleti, Khashuri, Mtskheta, Tsebelda, Djruchi, Savane, Spety, etc.). Despite the artistic and stylistic similarities with the above-mentioned items, some create a separate group or originate from the same workshop. The study of the above specimens has shown a wide range of templons from Racha, and their examination has increased the importance of their study within the whole process of stone carving of X-XI centuries in the specified region.

Keywords: art; fragmented; ornament; stone carving; templon.

განხილვის თარიღი 20.10.2022
შემოსვლის თარიღი 21.10.2022
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.12.2022